

რუკმინი ბანერჯი

თინა და ფერადი საგანძური



ილუსტრატორი: კავერი გოპალაკრიშნანი



ერთი ქალაქის განაპირას რამდენიმე ბავშვი ცხოვრობდა. მათ საცხოვრებელთან უზარმაზარი ნაგავსაყრელი იყო.



ბავშვები სკოლაში არ დადიოდნენ. მთელი დღე ნაგავსაყრელზე დარბოდნენ. ზოგიერთი მათგანი პლასტმასის ბოთლებს აგროვებდა. ზოგიც ქსოვილის ნაჭრებს ამოქექავდა ხოლმე. ბავშვებმა ზუსტად იცოდნენ, სად რა უნდა მოეძებნათ ნაგავში.



ერთ დღესაც ნაგავსაყრელს თინა ესტუმრა. მას განიერი, წითელი შარფი ეკეთა. თინამ თვალი მოავლო გარშემო მორბენალ ბავშვებს. მერე ჩამოსაჯდომი ადგილი მოძებნა. ჩანთა გახსნა და იქიდან რალაც ამოიღო.



ბავშვები ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ისინი ფრთხილად მიუახლოვდნენ ქალს. თინას ყუთში უამრავი ფერადი წიგნი ეწყო. წიგნებში კი საინტერესო ამბები იყო. ბავშვები სულ ახლოს მიჩოჩდნენ. თინამ კითხვა დაიწყო.



ამის შემდეგ თინა ყოველდღიურად მიდიოდა. მისი გამოჩენისთანავე ბავშვები ნაგავსაყრელზე ხეტიანს წყვეტდნენ. თინას მიუსხდებოდნენ და წაკითხულ ამბებს ყურს უგდებდნენ. სულ მალე რამდენიმე ასოსა და სიტყვას ცნობდნენ. დიდი დრო არ გასულა, რომ უკვე თავადაც შეეძლოთ თინას წიგნების კითხვა.



ბავშვებმა გადანყვიტეს, თინას კუთხე გაელამაზებინათ. ერთმა ნაგავსაყრელიდან სკამი მოათრია. მეორემ ფარდაგის ნაგლეჯი იპოვა. კიდევ სხვამ – გაცვეთილი ფარდები. მალე თინას ადგილი სულ შეიცვალა.



ერთ დღეს თინა არ მოვიდა. არც შემდეგ დღეს მოსულა. ბავშვები ელოდნენ და ელოდნენ. მესამე დღესაც რომ არ გამოჩნდა, თვითონვე დაიწყეს ერთმანეთისთვის წიგნების წაკითხვა.



ერთხელაც ერთი წიგნის უკანა ყდაზე თინას მისამართს გადააწყდნენ. ბავშვები მის მოსაძებნად გაემართნენ. თან წიგნებით სავსე ჩანთა წაიღეს. უკვე შეეძლოთ გაერკვიათ ავტობუსის მარშრუტი და ქუჩის ნომერიც მოეძებნათ. მათ ხომ უკვე იცოდნენ კითხვა.

ბავშვები თინას სახლს ეძებდნენ. ყველა ვიწრო ქუჩა და შესახვევი მოჩხრიკეს, მაგრამ მაინც ვერ მიაგნეს. ის-ის იყო უკან გაბრუნებას აპირებდნენ, რომ ერთ-ერთმა წითელი შარფი დაინახა. იგი ფანჯრის მახლობლად, გისოსზე იყო გამობმული.



თინა შინ იყო და ლოგინში იწვა. ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და აღარ იღიმოდა. ექიმმა მას წამლები მიუტანა, მაგრამ თინა რატომღაც მაინც ავად იყო.



ბავშვებმა თინასთან მიირბინეს, ჩაეხუტნენ და აკოცეს. თინა წამოჯდა და ბავშვებმა თავიანთი მიტანილი წიგნები წაუკითხეს. ქალს თვალები გაუბრწყინდა და ღიმილიც დაუბრუნდა.



ახლა თინა ისევ მიდის ხოლმე ბავშვებთან. ხან კი ბავშვები მიდიან მასთან სახლში. ხშირად ნახავთ მათ ერთად. გაიგონებთ მათ სიცილს, მოისმენთ მათ წაკითხულს. ეჭვიც არ შეგეპარებათ, რომ ერთად შესანიშნავ დროს ატარებენ – ბავშვები, თინა და წიგნები.



წიგნის სათაური: „თინა და ფერადი საგანძური“

კლასი: 3-4

ტექსტის ტიპი: მხატვრული, თხრობითი

გგონია, ყველა ბავშვს აქვს მყუდრო სახლი? არ არის ასე. მაგალითად, ამ წიგნის პერსონაჟი ბავშვები უზარმაზარ ნაგავსაყრელზე ცხოვრობენ, სკოლაში არ დადიან და მთელ დღეს ნაგვის ქექვაში ატარებენ. ასე გადის მათი ცხოვრების ნაცრისფერი დღეები, ვიდრე ნაგავსაყრელზე წითელშარფიანი ქალი, თინა არ გამოჩნდება. წაიკითხე და გაიგე, როგორ მოახერხა თინამ ბავშვების ცხოვრების გაფერადება.



USAID საგანგებო განათლების პროგრამა

This book has been provided as part of the USAID Basic Education Program in Georgia. It has been adapted from the original story and translated into Georgian.
Original Title: “Didi and the Colorful Treasure”, Author: Rukmini Banerji. Illustrator: Kaveri Gopalakrishnan, Books for Asia. Published on StoryWeaver by Pratham Books. © Pratham Books. Released under CC BY 4.0.